შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის დირექტორის

ბრძანება N 02/100

23 დეკემბერი 2020 წელი

ქ. ზუგდიდი

შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის პედაგოგიური საბჭოს ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს, შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის პედაგოგიური საბჭოს ფუნქციონირების წესი წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული
კოლეჯის დირექტორი: /ე. ფარცვანია/

დანართი N1

პედაგოგიური საბჭო შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგულ კოლეჯში

1. პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის სკოლის ყველა პედაგოგი.
2. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
3. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვოს სამეურვეო საბჭოში მათი წარმომადგენლის მოსმენა.
4. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს.
5. პედაგოგიურ საბჭოში მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.
6. პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა.

პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს;
ბ) საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
გ) სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები
პედაგოგიური საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, შპს "პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი" წესდების, შინაგანაწესისა და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. პედაგოგიური საბჭოს მიზნები და ამოცანები:
2.1 სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების პრაქტიკაში დანერგვა;
2.2 პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო ან გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის საათობრივი დატვირთვის ფარგლებში;
2.3 პედაგოგთა სასწავლო პროგრამის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან;
2.4 პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება;

2.5 პედაგოგთა პროფესიული განვითარება;
2.6 სკოლაში სწავლის ხარისხის მუდმივ განვითარებასა და დახვეწაზე ზრუნვა.

მუხლი 3. პედაგოგიური საბჭოს წევრობა

3.1. შპს „პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი" პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო.

3.2. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს პედაგოგებს შეკრებაზე წელიწადში მინიმუმ 3-ჯერ. თავმჯდომარე სკოლის დირექტორატთან შეთანხმებით ნიშნავს შეკრების თარიღსა და დროს, ასევე უზრუნველყოფს შეკრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სკოლის საზოგადოებაში. ადგენს და უთანხმებს დირექტორატს და ადმინისტრაციას სხდომის დღის წესრიგს, უზრუნველყოფს დღის წესრიგის გამოქვეყნებას სკოლის საინფორმაციო დაფაზე;

3.3. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით.

3.4. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა.

3.5. რიგგარეშე სხდომის შესახებ პედაგოგიური საბჭოს წევრები გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ სამი სამუშაო დღით ადრე, განსახილველი საკითხების მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით;

3.6. რიგგარეშე სხდომის მოწვევის ორგანიზება ევალება პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს;

3.7. პედაგოგიურ საბჭოში მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.

მუხლი 4. პედაგოგიური საბჭოს წევრის უფლებები და მოვალეობები

4.1. პედაგოგიური საბჭოს წევრს უფლება აქვს: პედაგოგიური საბჭოს დებულება

ა. აირჩიოს და არჩეულ იქნეს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარედ;

ბ. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ისარგებლოს ხმის უფლებით;

გ. შევიდეს ინიციატივებით სხდომაზე და განხილვაზე დააყენოს მისთვის საინტერესო საკითხი;

დ. მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმის შემუშავებაში;

ე. არჩეულ იქნეს ფასილიტატორად.

4.2. პედაგოგიური საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა. დაესწროს პედაგოგიური საბჭოს სხდომებს (თუ არ არსებობს გაცდენის ობიექტური მიზეზი: ავადმყოფობა, ოჯახური მიზეზი და ა.შ.);

ბ. მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიური საბჭოს მიერ დღის წესრიგის განხილვაში;

გ. იზრუნოს პედაგოგიური საბჭოს ეფექტურად ფუნქციონირებაზე და ჯეროვნად შეასრულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები;

დ. მონაწილეობა მიიღოს სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაში;

ე. იზრუნოს საკუთარი და პედაგოგიური საბჭოს წევრების პროფესიულ განვითარებაზე;

ვ. იზრუნოს სკოლაში სწავლის ხარისხის მუდმივ განვითარებაზე.

მუხლი 5. პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები

პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებია:

ა) სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა;

ბ) პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმის დამტკიცება;

გ) სკოლის შინაგანაწესის განხილვა;

დ) საფეხურებისა და საგნების შესაბამისად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან კათედრების მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცება;
ე) სწავლა-სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად გადაწყვეტილებების მიღება;
ვ) სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სასწავლო პროცესს გადაწყვეტილებების მიღება;
ზ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორის არჩევა;
თ) მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის საკითხის განხილვა;
ი) საჭიროების შემთხვევაში, დირექტორატთან შეთანხმებით სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური გეგმის დამტკიცება.
5.8 პედაგოგიური საბჭოს მიერ ჩატარებული თითოეული სხდომა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 6. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის არჩევის წესი

6.1 პედაგოგიური საბჭო სასწავლო წლის დასაწყისში ხმების უმრავლესობით ირჩევს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს და მდივანს 3 (სამი) წლის ვადით;
6.2 პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს; 4 პედაგოგიური საბჭოს დებულება
6.3 პედაგოგიური საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სხდომის ოქმის, სხდომაზე წარსადგენი დოკუმენტაციისა და მასალების მომზადებას. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე ეცნობა ოქმს და ამოწმებს მას ხელმოწერით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს სხდომების ოქმების დოკუმენტაციისა და მასალების შენახვას დირექციასთან შეთანხმებით.

მუხლი 7. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები

7.1. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე:
ა. უძღვება პედაგოგიური საბჭოს სხდომებს და ხელმოწერით ამტკიცებს სხდომის ოქმებს;
ბ. აწარმოებს პედაგოგიური საბჭოს დოკუმენტაციას;გ. პედაგოგიური საბჭოს მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
დ. უზრუნველყოფს პედაგოგიური საბჭოს სხდომების ორგანიზებას და დროულ ჩატარებას;
ე. უზრუნვრელყოფს პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმის შესრულებას და გაწეული საქმიანობის მონიტორინგს;
ვ. უზრუნველყოფს პედაგოგიური საბჭოს ეფექტურად ფუნქციონირებას და განვითარებისთვის სხვადასახვა ღონისძიების ჩატარებას;
ზ. კოორდინირებას უწევს პედაგოგიური საბჭოს მუშაობას და უზრუნველყოფს პედაგოგიური საბჭოს წევრთა შორის ფუნქციების ეფექტურად გადანაწილებას.
7.2. პედაგოგიური საბჭოს ხელმძღვანელის პორტფოლიო უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

- პედაგოგიური საბჭოს სამოქმედო გეგმას;
- პედაგოგიური საბჭოს დებულებას;
- პედაგოგიური საბჭოს შეხვედრის ამსახველ ოქმებს.

მუხლი 8. პედაგოგიური საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი

8.1 საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი;
8.2 პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა;
8.3 ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია პედაგოგიური საბჭოს თავჯმდომარის ხმა.

მუხლი 9. პედაგოგიური საბჭოს დებულების დამტკიცება და ცვლილების შეტანა

9.1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს დებულებას შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.

9.2 სკოლის პედაგოგიური საბჭოს დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.